

ნინო თორთლაძე

უცნობი მონასტრის წესდების ერთი ტერმინის წაკითხვისათვის

ქვემო ქართლის ერთ-ერთი მონასტრის ტიპიკონის ტექსტის ფრაგმენტი პირველად 1914 წ. გამოაქვეყნა სარგის კაკაბაძემ [1:71]. ჩვენამდე საბუთმა სწორედ ამ გამოცემის სახით მოაღწია. ამავე გამოცემის მიხედვით ეს ძეგლი ხელმეორედ 1970 წ. დაბეჭდა ი. დოლიძემ [2:132]. ხელნაწერი, რომელიც ძლიერ დაზიანებული ყოფილა, ს. კაკაბაძემ გამოაქვეყნა შეუცვლელად, იმ სახით, როგორც შეძლო მისი ამოკითხვა. ტექსტი წარმოადგენს ტიპიკონის ბოლო ნაწილის ფრაგმენტს. შემორჩენილი მონაკვეთიც ალაგ-ალაგ ნაკლულია და ბევრგან სიტყვების ფრაგმენტებია გვხვდება, რომელთა შინაარსის გარკვევა და თავდაპირველი სახით აღდგენა ჭირს. ი. დოლიძის გამოცემაში გახსნილია ქარაგმები და ბევრგან აღდგენილია ბუნდოვანი ადგილები.

მინდა შევეხო ამ ტექსტის ერთი მონაკვეთის წაკითხვას. ტიპიკონის პირველ გამოცემაში მას ასეთი სახე აქვს: „რთაცა ძმთა: წ: უბზდეს: ეკლსიისა და მტრსა სამსახურად. გაგზავნასა შორს თუ ახლოს – ნუმცა უკადრებია უნებელი წრა“ [1:72]. ი. დოლიძე ამ ნაწყვეტს ამგვარად კითხულობს: „რომელთაცა ძმათა წინამძღუარი უბრძანებდეს ეკლესიისა და მატურისა სამსახურად გაგზავნასა, შორს თუ ახლოს... ნუმცა უკადრებია უნებელი წინამძღურისა...“ [2:132]. ეჭვს იწვევს ამ ნაწყვეტში სიტყვა „მატურის“ წაკითხვა.

მატური ქართულად საფლავის ძეგლს ნიშნავს. სომხურშიც არის სიტყვა „*մատուր*, *մատուրն*“ (მატურ, მატურნ), რაც სამლოცველოს, სამწირველოს აღნიშნავს. მატური გვხვდება, ასევე, სოფლის სახელადაც დავით აღმაშენებლის ანდერძში მღვიმისადმი: „მონასტერისა რაცა იყო, მთასა ციხე, მარანი, ანუ მატური იგი სოფელი... შიგან ციხედ და სადგომად ჰქონდეს თვით“ [3:57] (არსებობს „ანდერძის“ ამ ადგილის სხვაგვარი ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც, აქ საუკუნო სოფელი უნდა იგულისხმებოდეს [4:56]).

თავად ტიპიკონის ტექსტის გამომცემელი აქ ტერმინ „მატურს“, ანუ საფიქრებელია, რომ საფლავის ძეგლს გულისხმობს, რადგან სიტყვას ტერმინთა საძიებელში ათავსებს [5:79-80]. მაგრამ რა მნიშვნელობაც არ უნდა მივუსადაგოთ „მატურს“, ამგვარი წაკითხვა ყველა შემთხვევაში საეჭვო ჩანს.

ტიპიკონის ამ მონაკვეთში ლაპარაკია წინამძღვრის უფლებაზე, მონასტრის გარეთ, მისი დავალების შესასრულებლად გაგზავნოს ნებისმიერი მონაზონი. ეს წესი, თუ კანონი ასეთ შემთხვევაში მონაზონს ავალებს დაემორჩილოს მოძღვარს. ეკლესიისა და მატურის (თუკი ამგვარად წავიკითხავთ) სამსახური, მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი იყო მთელ იმ მოვალეობებს შორის, რაც მონასტერში ეკისრებოდათ ბერებს. ეკლესიის სამსახურთან ერთად არსებობდა „მონასტრის სამსახურიც“. ეს ტერმინი ნახსენებია ვაჰანის ქვაბთა ტიპიკონში: „საჭიროდ უკუე უკმს ყოველთავე ძმათა მორჩილება. მწყემსისა და მამისა მათისა სულიერისა... ყოველსავე სამსახურსა მონასტრისასა, რომელსაცა უბრძანებდეს“ [6:81]. ასევე, მწირთა შესახებ ნათქვამია: „ესე-ვითარნი წარვიდოდენ უკუეთუ საჭიროდ საკმარ-იყვნენ სამსახურად მონასტრისა“ [6:81]. იმ მონასტერშიც, რომელსაც ეს ტიპიკონის ნაწყვეტი ეკუთვნოდა, რა თქმა უნდა, ეკლესიისა და მატურის სამსახურის (თუკი ეს უკანასკნელი მოვალეობა საერთოდ არსებობდა) გარდა ბევრი სხვა საქმეც იქნებოდა, რისთვისაც შეიძლება საჭირო გამხდარიყო მონაზვნის გაგზავნა სავანის გარეთ.

მონასტერში იყვნენ სხვადასხვა კატეგორიის, ანუ დასის ბერები, მაგ. მწირი, მწირველი, მღვდელ-მონაზონი, მემხრე და სხვ. მონაზონთა ყველა კატეგორიას თავისი განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები ჰქონდა. მათ ფუნქციებს ტიპიკონი აწესრიგებდა. აღნიშნულ კანონში არ არის გამოყოფილი მონაზონთა რომელიმე ფენა, ის ყველა კატეგორიის მონაზონს ეხება: „რომელთაცა ძმათა წინამძღუარი უბრძანებდეს..“, ანუ, აქ არ არის ლაპარაკი რომელიმე ჯგუფის მოვალეობებზე. ასევე არ არის დაკონკრეტებული ადგილი, სადაც წინამძღვარს შეეძლო გაეგზავნა ძმები – „წინამძღუარი უბრძანებდეს... გაგზავნასა, შორს თუ ახლოს...“ ე.ი. ეს არის ზოგადი კანონი, რომელიც ეხება ნებისმიერი მონაზვნის ნებისმიერი მიმართულებით გაგზავნას, ამიტომ, აქ, გაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყო გამოყოფილი სხვა არსებულ მოვალეობებს შორის მხოლოდ მონასტრისა და მატურის სამსახური. განა წინამძღვარს არ შეეძლო, მონაზონი მონასტრის სამსახურისთვისაც გაეგზავნა, ახლოს, თუ შორს? ან მონაზონი არ იყო მოვალე ასეთი დავალებაც შეესრულებინა? იმ შემთხვევაში, თუ ჩავთვლით, რომ ეს კანონი მართლაც ასეთი ფორმით არსებობდა, მაშინ საჭირო იქნებოდა სხვა კანონიც, რომელიც დაარეგულირებდა მონაზვნის გაგზავნას უკვე საკუთრივ, მონასტრის საქმეებზე. ამიტომ, უცნაურად ჩანს, რატომ უნდა შეედგინათ ორი კანონი, როდესაც ამ საკითხის მოგვარება ერთი კანონითაც შეიძლებოდა.

აქ რომ ლაპარაკი ყოფილიყო ბერების რომელიმე ჯგუფზე, მაგ. მწირველ მონაზვნებზე, მაშინ გასაგები იქნებოდა, თუ რატომ უნდა ყოფილიყო მითითებული მხოლოდ ეკლესიისა და მატურის სამსახური, რადგან, ასეთი სამსახური შეიძლება ამ მონაზვნებს ჰქონოდათ დაკისრებული, სხვა კატეგორიის ბერებს კი სხვა მოვალეობები ექნებოდათ. ასეთ შემთხვევაში მათ ვალდებულე-ბას ტიპიკონის სხვა კანონები მოანესრიგებდნენ.

სწორედ ასეა „ვაჰანის ქვაბთა განგებაშიც“. ამ წესდების მიხედვით, თუკი მონასტრის სოფელში ან მამულში „სანიადაგო ხელისუფლად“ საჭირო გახდებოდა მონაზვნის გაგზავნა, მწირი უნდა გაეგზავნათ, მღვდლებისა და მთავარდიაკვნების მოვა-ლეობა კი ეკლესიის მსახურება იყო [6:80-81].

უცნობი მონასტრის წესდების აღნიშნულ კანონში კი ალბათ უფრო სწორი იქნება, თუ ჩვენთვის საინტერესო სიტყვას წავიკი-თხავთ როგორც „მონასტერს“. მაშინ კანონს ასეთი სახე ექნება: „რომელთაცა ძმათა წინამძღუარი უბრძანებდეს ეკლესიისა და მონასტრისა სამსახურად გაგზავნასა, შორს თუ ახლოს... ნუმცა უკადრებია უნებელი წინამძღურისა..“ ამ შემთხვევაში „ეკლესი-ისა და მონასტრის სამსახური“ გამოხატავს ყველა იმ სავარაუდო მიზეზს, რისთვისაც წინამძღვარს შეიძლებოდა რაიმე დავალებით გაეგზავნა მონაზონი ახლოს თუ შორს.

ფორმულირება „ეკლესია და მონასტერი“ ხშირად გვხვდება ტიპიკონებში. თუმცა, ეკლესია მონასტრის აუცილებელი შემად-გენელი ნაწილი იყო, ის მაინც, როგორც ჩანს, ცალკე ერთეულად აღიქმებოდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეკლესია და მონას-ტერი ერთი მთლიანობის ორ ნაწილს წარმოადგენდა.

„ეკლესია და მონასტერი“ გვხვდება ვაჰანის ქვაბთა განგების ტექსტში: „უკუეთუ ორგულობა. გამოაჩნდეს ვის მონასტრისა პა-ტრონთა, ანუ მოხუეჭაი მონასტრისა და ეკლესიისა ნაქონებთა.... სრულიად განიკადნენ მონასტრით“ [6:77]. ეს ფრაზა განსა-კუთრებით ხშირად იხმარება პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში, მაგ. „რომელიცა რად მივეციტ... წმიდასა ეკლესიასა და მონას-ტერსა ჩუენსა“; [6:] „ჭირვებითა მათითა ქმნილ არს შენება. წმი-დისა ამის ეკლესიისა და მონასტრისა ჩემისა“ [2:77]. „მოვიყვანე ლარნაკი მისი აქა მონასტერსა და ეკლესიასა სამარხოსა ჩემსა“ [2:44]. „ეპიტროპოსთა მეცნიერებითა წარაგებდეს შემოსავალსა სახმრად ეკლესიისა და მონასტრისა“ [2:46]. ამავე ტიპიკონიდან შეიძლება კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა, სადაც ეს ფორმული-რება გამოიყენება. ასევე მონასტრების საბუთებშიც მონასტერს და ეკლესიას ერთად მოიხსენიებენ როგორც ორ დამოუკიდებელ ერთეულს: „შემდგომად მომავალნო მეფენო, ჩემსა ეკლესიასა და

მონასტერსა ანდერძითა ამით შემოგვედრებ“ [2:87].

ამ ყველაფრის გამო, საფიქრებელია, რომ უცნობი მონასტრის წესდებაშიც სწორედ „ეკლესია და მონასტერი“ უნდა გვექონდეს. რაც შეეხება სიტყვა „მატურს“, ჩვენს ტექსტში არ არის არავითარი მინიშნება ასეთი ნაკითხვის სასარგებლოდ, არც რომელიმე სხვა წყაროში გვხვდება ცნობები მონასტრებში მატურის სამსახურის შესახებ.

შენიშვნები

1. ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, ტფ., 1914
2. წესი და განგება. უცნობი მონასტრისა., ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970
3. ანდერძი დავით მეფისა მღვიმისადმი, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984
4. დ. მეგრელაძე, ერთი ტერმინის განმარტებისათვის დავით აღმაშენებლის I123წ. ანდერძიდან მღვიმის მონასტრისადმი, საერთაშორისო სიმპოზიუმი ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი, მოხსენებების მოკლე შინაარსები, თბ., 2000
5. ვაჰანის ქვაბთა განგება, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, ტფ., 1939
6. პეტრინონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, სამართლის ძეგლები, III

Н. Тортладзе

О чтении одного термина из устава неизвестного монастыря

Резюме

В тексте устава одного из монастырей нижнего Картли, который был опубликован С. Какабадзе в 1914 г., есть слово, которое во втором издании этого текста читается как „მატური“ (матури). Это слово на грузинском языке означает «могильный памятник». В одном из документов «Матури» является названием села. На армянском մատուր, մատուրն (матур) означает «часовню». В любом значении этого слова, такое чтение кажется недостоверным. На основе анализа содержания этого фрагмента считаем, что будет правильнее, если указанное слово прочитать как „მონასტერი“ - «монастырь».